

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება №
2024 წლის _____
ქ. თბილისი

სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 32-ე მუხლისა და 55⁵ მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანების განხორციელების წესი თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

ნათელა თურნავა

სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანების განხორციელების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია სარეზოლუციო ფონდის შექმნასთან, ადმინისტრირებასა და ინვესტირებასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე, საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკების და უცხოური ბანკების ფილიალების მიერ სარეზოლუციო ფონდში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (შემდგომში - ორგანული კანონი) განსაზღვრული წინასწარი შენატანების დაკისრების საფუძვლების, კრიტერიუმების, წინასწარი შენატანების განხორციელებისა და გადავადების წესებისა და პროცედურების განსაზღვრა.

2. წინასწარ შენატანებს, საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკები და უცხოური ბანკების ფილიალები (შემდგომში – ბანკი) რიცხავენ ორგანული კანონით განსაზღვრულ სარეზოლუციო ფონდში ამ წესის მე-11 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 2. სარეზოლუციო ფონდის შექმნა და დაფინანსების წყაროები

1. რეზოლუციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში - ეროვნული ბანკი) ხსნის ორგანული კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრულ ანგარიშს – სარეზოლუციო ფონდს.

2. სარეზოლუციო ფონდის შექმნის მიზანია რეზოლუციის პროცესში დაფინანსების გამოყენებისთვის საჭირო შესაბამისი ფინანსური სახსრების წინასწარი და შემდგომი აკუმულირება და საჭიროების მიხედვით გადანაწილება.

3. სარეზოლუციო ფონდში ირიცხება ბანკების წინასწარი შენატანები, დროებითი სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში, ამ დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი შესაბამისი სახსრები, მათ შორის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გასაცემი სესხები, გარანტიების საფუძველზე მიღებული ჩარიცხვები და გრანტები, ამ სახსრების შემდგომი ანაზღაურების მიზნით განხორციელებული შენატანები, სარეზოლუციო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებით მიღებული შემოსავლები, აგრეთვე, სხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. სარეზოლუციო ფონდის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული გარანტია.

მუხლი 3. სარეზოლუციო ფონდში ჩარიცხული ფინანსური სახსრების გამოყენება

სარეზოლუციო ფონდის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რეზოლუციის პროცესის ჯეროვანი წარმართვისთვის აუცილებელი პროცესების უზრუნველსაყოფად. სარეზოლუციო ფონდში ჩარიცხული, მათ შორის, დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გაცემული ფინანსური სახსრები, შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკზე ან დროებით ბანკზე სესხის ან გარანტიის გაცემისთვის;

ბ) კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისებისთვის ან დროებითი ბანკის ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისთვის საჭირო ხარჯებისა და გადაცემულ ვალდებულებებსა და აქტივებს შორის სხვაობის (გადაცემულ ვალდებულებებს გამოკლებული გადაცემული აქტივები) ანაზღაურების მიზნით;

გ) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37¹⁰ მუხლის მე-12 პუნქტის ან/და იმავე კანონის 37¹¹ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის;

დ) საჭიროების შემთხვევაში კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების შემძენ სუბიექტზე სესხის ან/და გარანტიის გაცემისთვის, კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების ან შერწყმის სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების ფარგლებში.

ე) რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ლიკვიდობის გაუმჯობესებისთვის;

ვ) რეზოლუციის პროცესთან დაკავშირებული სხვა ხარჯების, მათ შორის, სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირებასა და აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად.

მუხლი 4. სარეზოლუციო ფონდის მართვა და ინვესტირება

1. სარეზოლუციო ფონდს მართავს და ადმინისტრირებას უწევს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი ვალდებულია სარეზოლუციო ფონდის მართვის პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოს სარეზოლუციო ფონდში არსებული ფინანსური რესურსების უსაფრთხოება, მაღალი ლიკვიდობა და შეინარჩუნოს რისკის დაბალი პროფილი.

2. ორგანული კანონის 55⁵ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სარეზოლუციო ფონდი ადმინისტრირებისთვის გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), მასთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, სარეზოლუციო ფონდის სააგენტოსთვის ადმინისტრირების მიზნით გადაცემა გულისხმობს, სააგენტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ერთიან ანგარიშზე ან/და ეროვნულ ბანკში არსებულ ანგარიშზე (შემდგომში - სააგენტოს ანგარიში) სარეზოლუციო ფონდში აკუმულირებული სახსრების გადატანას, მხოლოდ ამ სახსრების ინვესტირებისა და ინვესტირების პროცესის სააგენტოს მიერ მართვის მიზნით. სარეზოლუციო ფონდის სხვა მხრივ მართვას, მათ შორის, ბანკების მიერ შენატანების სათანადოდ განხორციელების მონიტორინგს, ეროვნული ბანკი ახორციელებს.

4. ეროვნული ბანკი და სააგენტო პასუხს არ აგებს სარეზოლუციო ფონდის გამოყენებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე. დაუშვებელია სარეზოლუციო ფონდის აქტივების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვების, მათ შორის, გირავნობის, ყადაღის ან/და აღსრულების გამოყენება. სარეზოლუციო ფონდის გამოყენებიდან წარმოშობილი ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა დაიფაროს მხოლოდ სარეზოლუციო ფონდიდან.

5. სარეზოლუციო ფონდში არსებული სახსრების ინვესტირების პროცესის ეროვნული ბანკის მიერ მართვის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სარეზოლუციო ფონდში არსებული თანხების ინვესტირება განახორციელოს ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში მხოლოდ სახელმწიფოს ან მაღალი სანდოობის საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ფასიან ქაღალდებში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე არ შეექმნება რეზოლუციით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. უცხოურ ვალუტაში თანხის ინვესტირებისას კონვერტაციის კურსად განისაზღვრება ოპერაციის განხორციელების თარიღში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი.

6. სარეზოლუციო ფონდში დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების არსებობის შემთხვევაში, მათი ინვესტირება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში.

7. ინვესტირების შედეგად მიღებული სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა ჩაირიცხოს სარეზოლუციო ფონდში.

8. სარეზოლუციო ფონდში არსებული სახსრების ინვესტირების პროცესის ეროვნული ბანკის მიერ მართვის შემთხვევაში, სარეზოლუციო ფონდის დაცულობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით სარეზოლუციო ფონდის რესურსების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემდეგ დაბალრისკიან აქტივებში:

ა) საქართველოს მთავრობის, ეროვნული ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ გამოშვებული, ლარით დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები;

ბ) ეროვნული ბანკის დეპოზიტები;

გ) ევროპის ცენტრალური ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის სუპრანაციონალური სააგენტოების მიერ გამოშვებული, ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდები და სავალო ინსტრუმენტები.

9. ეროვნული ბანკი სარეზოლუციო ფონდის რესურსების ინვესტირებას ახორციელებს დივერსიფიკაციის, უსაფრთხოებისა და ლიკვიდურობის პრინციპების შესაბამისად, რისკის ადეკვატური მართვისა და შიდა კონტროლის უზრუნველყოფით.

10. სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირებასა და ინვესტირებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება სარეზოლუციო ფონდიდან.

11. სარეზოლუციო ფონდის სააგენტოს მიერ ადმინისტრირების შემთხვევაში, სააგენტო, სარეზოლუციო ფონდის სახსრების ინვესტირებას ახორციელებს, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, სააგენტოს წესებისა და სააგენტოსა და ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად. ინვესტირების შედეგად მიღებული ამონაგები თანხა, გარდა ძირითადი თანხისა, სააგენტოს მიერ სარეზოლუციო ფონდის ანგარიშზე გადმოირიცხება, ხოლო ძირითადი თანხა ინვესტირების მიზნით, კვლავ სააგენტოს ანგარიშზე რჩება. სააგენტოსა და ეროვნულ ბანკს შორის თანამშრომლობისა და ინვესტირების, ასევე სააგენტოს მიერ ეროვნული ბანკისთვის ანგარიშგების მომზადების საკითხები, მათ შორის გაფორმებული შეთანხმებით განისაზღვრება.

12. სარეზოლუციო ფონდის სააგენტოს მიერ ადმინისტრირების შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოსთხოვოს მას და მიიღოს სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული ნებისმიერი (მათ შორის, კონფიდენციალური) ინფორმაცია.

მუხლი 5. სარეზოლუციო ფონდის ფინანსური ანგარიშგება

1. ეროვნული ბანკი ვალდებულია სარეზოლუციო ფონდის ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგებებისგან დამოუკიდებლად. სარეზოლუციო ფონდის აქტივების ღირებულება უნდა აღირიცხოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

2. ეროვნული ბანკი ვალდებულია სარეზოლუციო ფონდის ფინანსური ანგარიშგება წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშგებო წლის (საანგარიშგებო წელი იწყება იანვრის პირველ დღეს და მთავრდება დეკემბრის ბოლო დღეს) 1 ივნისისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში სარეზოლუციო ფონდში დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური სახსრების ბრუნვა ან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ირიცხება ასეთი სახსრები.

3. ამ წესის მიზნებისთვის, სარეზოლუციო ფონდის ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, რომელიც სულ მცირე, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სარეზოლუციო ფონდის აქტივების, ვალდებულებების, ფულადი საშუალებების მოძრაობის, შემოსავლებისა და ხარჯების, მნიშვნელოვანი ტრანზაქციებისა და საინვესტიციო საქმიანობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ხარჯების შესახებ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სარეზოლუციო ფონდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ, მათ შორის, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ სარეზოლუციო ფონდის ფინანსური ანგარიშგების შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5. ამ მუხლით განსაზღვრული სარეზოლუციო ფონდის ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელმა აუდიტორმა უნდა შეამოწმოს. დამოუკიდებელი აუდიტორისგან მიღებული მომსახურება ანაზღაურდება სარეზოლუციო ფონდის სახსრებიდან.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებელი აუდიტორი უნდა იყოს ოთხი ყველაზე მსხვილი აუდიტორული ფირმიდან ერთ-ერთი, რომელსაც შეარჩევს ეროვნული ბანკი.

7. ამ მუხლით განსაზღვრული სარეზოლუციო ფონდის ფინანსური ანგარიშგება უნდა გამოქვეყნდეს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე მომდევნო საანგარიშგებო წლის 1 ივლისამდე.

მუხლი 6. წინასწარი შენატანების დაკისრების საფუძველი

სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანების დაკისრების საფუძველს წარმოადგენს რეზოლუციის პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით სარეზოლუციო ფონდში ფულადი სახსრების წინასწარი აკუმულირება. ამ მიზნით, ორგანული კანონის 55⁵ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ეროვნული ბანკი განუსაზღვრავს ბანკებს სარეზოლუციო ფონდში შესაბამისი წინასწარი შენატანის განხორციელების ვალდებულებას.

მუხლი 7. წინასწარი შენატანების განსაზღვრის კრიტერიუმები

1. წინასწარი შენატანი ეროვნული ბანკის მიერ განისაზღვრება თითოეული ბანკისთვის.

2. სარეზოლუციო ფონდში ყოველი წლის ჯამური შენატანის ოდენობა განსაზღვრება ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სამიზნე დონის მიღწევამდე, მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში, დააკორექტიროს თითოეული წლის ჯამური შენატანის ოდენობა და განსხვავებულად გადაანაწილოს, სამიზნე დონის მიღწევამდე დარჩენილი წლების შესაბამისად.

3. ბანკების შენატანებს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს პროპორციულობის და ობიექტურობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. კერძოდ, პროპორციულობისა და ობიექტურობის კრიტერიუმების საფუძველზე, ბანკების რისკის პროფილისა და ვალდებულებების მოცულობის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი, ბანკების კატეგორიზაციას ახორციელებს შემდეგ ორ ჯგუფად:

ა) პირველი ჯგუფი - მოიცავს იმ ბანკებს, რომელთა აქტივების ჯამური ოდენობა არ აღემატება 5 (ხუთი) მილიარდ ლარს; ამ ჯგუფში შემავალი ბანკებისთვის წლიური შენატანების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, ეროვნულ ბანკი, გამოყოფს დამატებით ქვე-კატეგორიებს ბანკების მთლიანი ვალდებულებების ოდენობის მიხედვით, საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტებისა და დაზღვეული დეპოზიტების გამოკლებით;

ბ) მეორე ჯგუფი - მოიცავს იმ ბანკებს, რომელთა აქტივების ჯამური ოდენობა უდრის ან აღემატება 5 (ხუთი) მილიარდ ლარს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბანკების შენატანებს, ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ფიქსირებული ოდენობების სახით, ქვე-კატეგორიების შესაბამისად, ამ წესის დანართი №2-ით დადგენილი წესით.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბანკების შენატანებს, ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ამ წესის მე-8 - მე-10 მუხლების, ასევე ამ წესის დანართი №3-ისა და დანართი №4-ის შესაბამისად.

6. პროპორციულობის კრიტერიუმი გულისხმობს წინასწარი შენატანის იმ ვალდებულებების პროპორციულად განხორციელებას, რომლებიც არ მოიცავს ისეთ ვალდებულებას, რომელიც იმავდროულად არის საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტი ან დაზღვეული დეპოზიტი. ობიექტურობის კრიტერიუმი მოიცავს კომერციული ბანკის რისკის პროფილს.

7. ამ წესის მე-8 მუხლის მიხედვით, პროპორციულობის კრიტერიუმის საფუძველზე, ეროვნული ბანკი გამოითვლის შენატანების პირველად ოდენობებს, მეორე ჯგუფის ბანკებისთვის, ხოლო ამ წესის მე-9 და მე-10 მუხლებისა და ამ წესის დანართი №3-ის და დანართი №4-ის საფუძველზე – წინასწარი შენატანების საბოლოო ოდენობებს (გადასახდელი ოდენობა), ამავე ჯგუფის ბანკებისთვის.

8. ამ წესით დადგენილი მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ გამოითვლება წინასწარი შენატანის წლიური ინდივიდუალური ოდენობა თითოეული ბანკისთვის.

9. ამ წესით დადგენილი მეთოდოლოგია საერთოა (კატეგორიების შესაბამისად) და საჯაროა ყველა ბანკისთვის, ხოლო თითოეული ბანკისთვის გამოანგარიშებული წინასწარი შენატანის წლიური ინდივიდუალური ოდენობა კონფიდენციალურია და ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი ბანკისთვის.

მუხლი 8. შენატანების პირველადი ოდენობების გამოთვლა მეორე ჯგუფის ბანკებისთვის

1. მეორე ჯგუფის ბანკებისთვის, პროპორციულობის კრიტერიუმით განსაზღვრული ბანკის პირველადი წინასწარი შენატანის გამოთვლის მიზნებისთვის, ეროვნული ბანკი თითოეული მეორე ჯგუფის ბანკის მთლიან ვალდებულებებს აკლებს მეორე ჯგუფის ბანკის ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც იმავდროულად არის საზედამხედველო კაპიტალის ელემენტები და დაზღვეული დეპოზიტები და მიღებული მაჩვენებლის მიხედვით, ითვლის თითოეული მეორე ჯგუფის ბანკის პირველად ინდივიდუალურ წილს მეორე ჯგუფის ბანკების ამავე მაჩვენებლის ჯამურ მოცულობაში.

2. წინასწარი შენატანის ზედა ზღვარი დგინდება იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ წინასწარი შენატანის განხორციელება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ბანკის ლიკვიდურობას ან გადახდისუნარიანობას.

მუხლი 9. წინასწარი შენატანების რისკის პროფილის მიხედვით დაკორექტირება და შენატანების საბოლოო ოდენობების განსაზღვრა მეორე ჯგუფის ბანკებისთვის

1. მეორე ჯგუფის ბანკებისთვის, ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული პროპორციულობის კრიტერიუმის საფუძველზე გამოთვლილი პირველადი შენატანები ექვემდებარება რისკის მიხედვით კორექტირებას (ობიექტურობის კრიტერიუმი) ამ მუხლის, ამ წესის მე-10 მუხლისა და ამ წესის დანართი №3-ითა და დანართი №4-ით განსაზღვრული წესით, რის შედეგადაც განისაზღვრება მეორე ჯგუფის ბანკების შენატანების საბოლოო ოდენობები.

2. რისკის პროფილის მიხედვით დაკორექტირება და საბოლოო შენატანების ოდენობების განსაზღვრა გულისხმობს პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე გამოთვლილი პირველადი შენატანების გამრავლებას ბანკის აგრეგირებული რისკის წონაზე. აგრეგირებული რისკის წონის განსაზღვრის მიზნით, მცურავი მასშტაბის მეთოდის საფუძველზე თითოეული ბანკისთვის გამოითვლება აგრეგირებული რისკის ქულა, რომელიც ამ წესის დანართი №4-ით განსაზღვრული ექსპონენციალური ფორმულის მეშვეობით გადაითარგმნება აგრეგირებულ რისკის წონაში.

მუხლი 10. წინასწარი შენატანების რისკის პროფილის მიხედვით დაკორექტირებისას შესაფასებელი რისკის კატეგორიები, რისკის ინდიკატორები და მათი შესაბამისი ინდივიდუალური წონები

1. მეორე ჯგუფის ბანკებისთვის შენატანების გამოთვლის მიზნით, ეროვნული ბანკი ბანკის რისკის პროფილს შემდეგი რისკის კატეგორიის შეფასების საფუძველზე ახორციელებს:

- ა) კაპიტალი – ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რისკის ინდიკატორების შესაბამისად;
- ბ) ლიკვიდობა – ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რისკის ინდიკატორების შესაბამისად;
- გ) აქტივების ხარისხი – ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული რისკის ინდიკატორების შესაბამისად;
- დ) ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა – ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კაპიტალის რისკის კატეგორიის რისკის ინდიკატორებია:

- ა) ბანკის ლევერიჯის კოეფიციენტი;
- ბ) ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის შეფარდება ძირითადი პირველადი კაპიტალის მოთხოვნასთან.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიკვიდობის რისკის კატეგორიის რისკის ინდიკატორებია:

- ა) ბანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი;
- ბ) ბანკის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აქტივების ხარისხის რისკის კატეგორიის რისკის ინდიკატორია ვადაგადაცილებული სესხების შეფარდება მთლიან სასესხო პორტფელთან.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბიზნეს მოდელისა და მომგებიანობის რისკის კატეგორიის რისკის ინდიკატორებია:

ა) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შეფარდება მთლიან აქტივებთან;

ბ) მსხვილი რისკის პოზიციების კოეფიციენტი;

გ) უკუგება საშუალო კაპიტალზე – წლიურად გაანგარიშებული წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ სააქციო კაპიტალთან (ე.წ. ROE).

6. ამ მუხლით განსაზღვრული რისკის კატეგორიების და რისკის ინდიკატორების შეფასებისას, ეროვნული ბანკი თითოეულ რისკის კატეგორიასა და რისკის ინდიკატორს ანიჭებს შესაბამის წონას ამ წესის დანართ №3-ში მოცემული ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 11. ბანკის მიერ წინასწარი შენატანის განხორციელება

1. ბანკი ვალდებულია ყოველთვიურად გადაიხადოს წინასწარი შენატანი ორგანული კანონისა და ამ წესის შესაბამისად დადგენილი ოდენობითა და პერიოდულობით შენატანის სარეზოლუციო ფონდში გადარიცხვის გზით.

2. ეროვნული ბანკის მიერ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განკარგულების/ბრძანების სახით გამოიცემა სამართლებრივი აქტი, რომლითაც, მათ შორის, განისაზღვრება:

ა) რეზოლუციის ფონდის სამიზნე დონე;

ბ) რეზოლუციის ფონდის წლიური სამიზნე დონე;

გ) ანგარიშის ნომერი (დანაშნულება, მიმღები და ასევე, მიზნობრიობა), სადაც შენატანები უნდა განხორციელდეს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტს, ეროვნული ბანკი განაახლებს ყოველწლიურად, რეზოლუციის კომიტეტის მიერ შესაბამის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეზოლუციის ფონდის სამიზნე დონის რაოდენობრივი ცვლილების გათვალისწინებით, დააკორექტიროს (გაზარდოს ან შეამციროს) რეზოლუციის ფონდის წლიური სამიზნე დონე და შესაბამისად ბანკების მიერ გადასახდელი შენატანების ოდენობაც, მათ შორის, მიმდინარე მაკროეკონომიკური ფაქტორებისა და სხვა ფინანსური გარემოებების გათვალისწინებით.

4. აღნიშნული სამართლებრივი აქტი ბანკებს ეგზავნებათ, ხოლო, თითოეული ბანკისთვის განსაზღვრული ინდივიდუალური შენატანის ოდენობის შესახებ, ბანკებს დამატებით ინდივიდუალურად ეცნობებათ, კონფიდენციალურობის წესების დაცვით, ყოველი წლის 15 თებერვლამდე.

5. ბანკებმა წინასწარი შენატანის გადახდა უნდა უზრუნველყონ არაუგვიანეს ყოველი თვის 15 რიცხვისა.

მუხლი 12. გადავადების/განწილვადების მოთხოვნა

1. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ბანკის მიერ შენატანის განხორციელებამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ მდგომარეობას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ბანკის ლიკვიდობის ან გადახდისუნარიანობის/კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლის გაუარესებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საზედამხედველო მოთხოვნების დარღვევა, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ბანკის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება შენატანის განხორციელების გადავადების ან განწილვადების შესახებ. ბანკის მხრიდან აღნიშნული მოთხოვნა უნდა იყოს ელექტრონული ან მატერიალური სახით წარმოდგენილი.

2. შენატანის განხორციელების გადავადების ან განწილვადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული ბანკი, ბანკის დასაბუთებული მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განკარგულების/ბრძანების სახით. გადაწყვეტილების მიღებისას, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ბანკისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და არგუმენტაცია შენატანის გადავადების/განწილვადების თაობაზე. ამასთან, თუ ბანკი საბანკო ჯგუფში შემავალი საწარმოა, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, შეფასებისას მხედველობაში მიიღოს შენატანის განხორციელების არსებითი ნეგატიური გავლენის საფრთხე საბანკო ჯგუფის გადახდისუნარიანობაზე/კაპიტალის ადეკვატურობასა და ლიკვიდობაზე.

3. შენატანი შესაძლოა, გადავადდეს არაუმეტეს 1 წლის ვადით. ბანკს შეუძლია, შესაბამისი დასაბუთებით მოითხოვოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის გახანგრძლივება, თუ შენატანის გადახდამ შესაძლოა, კვლავ შეუქმნას საფრთხე ბანკის ფინანსურ მდგომარეობას.

4. ბანკის მიერ შენატანის განხორციელების ვადა შესაძლოა, გადავადდეს, თუ შენატანის განხორციელება, დიდი ალბათობით, მისი გადახდიდან, არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში გამოიწვევს ერთ-ერთ შემდეგ შედეგს:

ა) კანონმდებლობით დადგენილი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დარღვევას;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დარღვევას;

გ) ბანკისთვის დადგენილი ლიკვიდობის მოთხოვნის დარღვევას.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, შეხედულებისამებრ, ერთხელ ან რამდენჯერმე გადაუვადოს ბანკს შენატანის განხორციელების ვადა ბანკის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. ამ მიზნით ეროვნული ბანკი რეგულარულად შეაფასებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ბანკის შესაძლებლობას შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით.

6. ეროვნული ბანკი, აგრეთვე უფლებამოსილია, ბანკებს დროებით შეუჩეროს სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანების განხორციელების ვალდებულება, თუ მათ მიერ ხდება დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გამოყენებული ფულადი სახსრების შემდგომი ანაზღაურების მიზნით სარეზოლუციო ფონდში შენატანების განხორციელება ამ დაფინანსების სრულ დაფარვამდე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი შენატანების განხორციელების ვალდებულების შეჩერებასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკი გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომლითაც განსაზღვრული იქნება შეჩერების საფუძველი/საფუძვლები, შეჩერების პერიოდულობა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

8. აღნიშნული სამართლებრივი აქტი წარედგინება ბანკებს.

მუხლი 13. გადახდისუნარიანობის/კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდობის შეფასება შენატანის განხორციელების გადავადების/განწილვადების საჭიროების შეფასებისას

1. ეროვნული ბანკი, ბანკისთვის შენატანის განხორციელების გადავადების/განწილვადების საჭიროების შეფასებისას, აფასებს შენატანის გადახდის გავლენას ბანკის გადახდისუნარიანობის/საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დაცვის შესაძლებლობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის შეფასების მიზნით, ეროვნული ბანკი, მათ შორის, აფასებს შენატანის

განხორციელების გავლენას ბანკის მხრიდან ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაცვის შესაძლებლობაზე. ამ მიზნით, ეროვნული ბანკი შეფასებისას ითვალისწინებს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობას, რომელიც შემცირებულია ბანკის მიერ გადასახდელი შენატანის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შეფასებისთვის, ეროვნული ბანკი გადასახდელი შენატანის სრულ ოდენობას ითვალისწინებს ბანკის მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გამოთვლისას და აფასებს შენატანის განხორციელების გავლენას ბანკისთვის ინდივიდუალურად დადგენილ ლიკვიდობის მოთხოვნების დაცვის შესაძლებლობაზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასება უნდა დაეფუძნოს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებისა და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მოთხოვნებს, სულ მცირე მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით.

მუხლი 14. ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. ბანკი ვალდებულია, ითანამშრომლოს ეროვნულ ბანკთან და ხელი შეუწყოს მას შენატანების განსაზღვრისა და დაკისრების პროცესში, რაც, მათ შორის, მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი (მათ შორის, კონფიდენციალური) ინფორმაციის მიწოდებას.

2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, შენატანების განსაზღვრისა და დაკისრების პროცესში, კანონმდებლობის შესაბამისად გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან, მათ შორის, სააგენტოსგან მოითხოვოს დაზღვეული დეპოზიტების თაობაზე განახლებული ინფორმაცია, როგორც ინდივიდუალური ბანკის მიხედვით, ისე საბანკო სექტორის ჭრილში.

მუხლი 15. საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა)

ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა).

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

1. სარეზოლუციო ფონდში ბანკების მიერ წინასწარი შენატანებით აკუმულირებულმა თანხებმა უნდა მიაღწიოს სარეზოლუციო ფონდის მიზნობრივ ოდენობას, რომელიც „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 3%-ს შეადგენს.

2. სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანებით აკუმულირებული თანხები 2033 წლამდე შეიძლება იყოს სარეზოლუციო ფონდის მიზნობრივ ოდენობაზე ნაკლები. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაახანგრძლივოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა, თუ ვადის დადგომამდე გაიზარდა დაზღვეული დეპოზიტის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობა (ზღვარი) ან/და სარეზოლუციო ფონდში აკუმულირებული თანხები გამოყენებულ იქნა „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაზღვეული დეპოზიტების არანაკლებ 0.5%-ის ოდენობით.

3. ბანკებმა წინასწარი შენატანის პირველი გადახდა უნდა უზრუნველყონ არაუგვიანეს 2025 წლის 15 თებერვლისა, ხოლო მომდევნო და შემდეგი გადახდები არაუგვიანეს შესაბამისი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

4. სარეზოლუციო ფონდის მიზნობრივი დონის მიღწევის შემდგომ, თუ ყოველ მომდევნო წელს, სამიზნე ოდენობასა და ფონდში არსებულ სახსრებს შორის სხვაობა წარმოიშობა, ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ ორივე ჯგუფის ბანკებს, სხვაობის დასაფარად ინდივიდუალური შენატანების ოდენობა ყოველწლიურად განესაზღვრებათ ამ წესის დანართი №3-ითა და დანართი №4-ით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით. ამასთან, პირველი ჯგუფის ბანკებისთვის აღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრული შენატანის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ წესის დანართი №2-ით განსაზღვრულ და შესაბამისად მოქმედ ფიქსირებულ ოდენობებს.

სარეზოლუციო ფონდში ბანკების მიერ ყოველწლიური ჯამური შენატანის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:

ყოველწლიური ჯამური შენატანის დასაანგარიშებლად აიღება წინა წლის მდგომარეობით არსებული დაზღვეული დეპოზიტების მოცულობის 4 კვარტლის საშუალოს 3%, რომელიც იყოფა სარეზოლუციო ფონდის სამიზნე მაჩვენებლამდე მისაღწევად განსაზღვრულ ვადამდე დარჩენილი წლების რაოდენობაზე, კერძოდ:

$$X \text{ წლის ჯამური შენატანი} = \frac{(X - 1) \text{ წლის დაზღვეული დეპოზიტების მოცულობის 4 კვარტლის საშუალო}}{\text{სამიზნე მაჩვენებლამდე მისაღწევად განსაზღვრული ვადა} - X} \times 3\%$$

მაგალითი

2028 წლის ჯამური კონტრიბუციის გადათვლა მოხდება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} & 2028 \text{ წლის შენატანი} \\ & = \frac{2027 \text{ წლის დაზღვეული დეპოზიტების 4 კვარტლის საშუალო} \times 3\% - \text{ფონდში არსებული სახსრები}}{2033 - 2028} \end{aligned}$$

მაგალითისთვის, 2028 წლის დასაწყისში ფონდში არსებული სახსრები შეადგენს 100 მილიონ ლარს. 2027 წლის 4 კვარტლის საშუალო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა არის 15 მილიარდი ლარი. ზემოთ მოცემული ფორმულის შესაბამისად, წლის ჯამური კონტრიბუცია იქნება:

$$2028 \text{ წლის შენატანი} = \frac{15,000,000,000 \times 3\% - 100,000,000}{2033 - 2028} = 70,000,000$$

1. თუ ბანკის აქტივები არ აღემატება 5 მილიარდ ლარს, სარეზოლუციო ფონდში წლიური წინასწარი შენატანი განისაზღვრება ფიქსირებული ოდენობით შემდეგი ცხრილის მიხედვით განსაზღვრული ქვე-კატეგორიების შესაბამისად:

| ბანკის მთლიანი ვალდებულებები საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტებისა და დაზღვეული დეპოზიტების გამოკლებით (ლარი) | ფიქსირებული შენატანები (ლარი) |
|--|-------------------------------|
| $2,000,000,000 < x \leq 5,000,000,000$ | 500,000 |
| $1,000,000,000 < x \leq 2,000,000,000$ | 250,000 |
| $x \leq 1,000,000,000$ | 10,000 |

2. სარეზოლუციო ფონდში ბანკების მიერ წინასწარი შენატანების განხორციელების დაწყებიდან 2 წლის შემდეგ, ფიქსირებული გადასახადები გაორმაგდება მხოლოდ პირველ და მეორე შემთხვევაში, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

| ბანკის მთლიანი ვალდებულებები საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტებისა და დაზღვეული დეპოზიტების გამოკლებით (ლარი) | ფიქსირებული შენატანები (ლარი) |
|--|-------------------------------|
| $2,000,000,000 < x \leq 5,000,000,000$ | 1,000,000 |
| $1,000,000,000 < x \leq 2,000,000,000$ | 500,000 |
| $x \leq 1,000,000,000$ | 10,000 |

რისკის კატეგორიებისა და რისკის ინდიკატორების შესაბამისი წონები

| რისკის კატეგორია | რისკის ინდიკატორი | ხვ. წილი |
|--|--|-----------------|
| კაპიტალი (40%) | ბანკის ლევერიჯის კოეფიციენტი | 50% |
| | ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის შეფარდება ძირითადი პირველადი კაპიტალის მოთხოვნასთან | 50% |
| ლიკვიდობა (20%) | ბანკის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი | 50% |
| | ბანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი | 50% |
| აქტივების ხარისხი (20%) | ვადაგადაცილებული სესხების შეფარდება მთლიან სასესხო პორტფელთან | 100% |
| ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა (20%) | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შეფარდება მთლიან აქტივებთან | 33,33% |
| | მსხვილი სესხების რისკის პოზიციების კოეფიციენტი | 33,33% |
| | უკუგება საშუალო კაპიტალზე – წლიურად გაანგარიშებული წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ სააქციო კაპიტალთან (ე.წ. ROE) | 33,33% |

შენატანების გამოთვლის ინსტრუქცია

1. შენატანებში თითოეული ბანკის წილის გამოთვლა

○ $P_i \times ARW_i$

სადაც:

- i არის ბანკი
- P_i არის i ბანკის პროპორციულობა დათვლილი ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად
- ARW_i არის i ბანკის აგრეგირებული რისკის წონა დათვლილი ამ ინსტრუქციის მე-2 პუნქტის მსგავსად.

2. აგრეგირებული რისკის წონის გამოთვლა

2.1 აგრეგირებული რისკის წონის გამოსათვლელად აუცილებელია თითოეული რისკის ინდიკატორისთვის (იხ. ქვეპუნქტი 2.2) რისკის ინდივიდუალური ქულის განსაზღვრა მცურავი მასშტაბის მეთოდით (იხ. ქვეპუნქტი 2.3) და შემდეგ აგრეგირებული რისკის ქულის განსაზღვრა, რომელიც გადაითარგმნება აგრეგირებულ რისკის წონაში (იხ. ქვეპუნქტი 2.4. და 2.5)

2.2 რისკის ინდიკატორები

- კაპიტალი:
 - ლევერიჯის კოეფიციენტი: $\frac{\text{პირველადი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}}$;
 - ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის შეფარდება ბანკის ძირითადი კაპიტალის მოთხოვნასთან $\frac{\text{ძირითადი პირველადი კაპიტალის მაჩვენებელი} (\%)}{\text{ძირითადი პირველადი კაპიტალის მოთხოვნა} (\%)}$;
- ლიკვიდობა:
 - NSFR;
 - LCR;
- აქტივების ხარისხი:
 - $\frac{\text{ვადაგადაცილებული სესხები}}{\text{მთლიანი სესხები}}$;
- ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა:
 - $\frac{\text{ჯამური რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები}}{\text{მთლიანი აქტივები}}$;
 - $\frac{\text{ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფის ყველაზე მსხვილი რისკის პოზიცია}}{\text{პირველადი კაპიტალი}}$;
 - $\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საშუალოწლიური სააქციო კაპიტალი}}$.

2.3 რისკის ინდივიდუალური ქულის განსაზღვრა მცურავი მასშტაბის მეთოდით

- ცალკეული რისკის ინდიკატორის A_j მიხედვით გამოითვლება თითოეული ბანკისათვის ინდივიდუალური რისკის ქულა (IRS_j). თითოეული რისკის ინდიკატორისთვის უნდა განისაზღვროს ზედა (aj) და ქვედა (bj) საზღვრები. იმ შემთხვევაში, თუ რისკის ინდიკატორის მაღალი მნიშვნელობა ბანკის რისკიანობას ასახავს და ეს ინდიკატორი აღემატება ზედა საზღვარს, (IRS_j) განისაზღვრება

როგორც 100. მსგავსად, როდესაც რისკის ინდიკატორი ქვედა საზღვრის დაბლა მდებარეობს, (IRS_j) განისაზღვრება როგორც 0. ანალოგიურად, იმ შემთხვევაში თუ რისკის ინდიკატორის დაბალი მნიშვნელობა ბანკის რისკიანობას ასახავს და ეს ინდიკატორი მდებარეობს ქვედა საზღვრის დაბლა, (IRS_j) განისაზღვრება როგორც 100. მსგავსად, როდესაც რისკის ინდიკატორი აღემატება ზედა საზღვარს, (IRS_j) განისაზღვრება როგორც 0.

- თუ რისკის ინდიკატორის მნიშვნელობა მდებარეობს ზედა და ქვედა ზღვრებს შორის, (IRS_j) განისაზღვრება 0-დან 100-მდე შუალედში.
- ზემოთ აღწერილი მეთოდის ილუსტრაცია:

| რისკის ინდიკატორი | რისკის ინდიკატორის წონა | ზედა საზღვარი | ქვედა საზღვარი | ინდივიდუალური რისკის ქულა (IRS _j) |
|---------------------------|-------------------------|----------------|----------------|---|
| ინდიკატორი A ₁ | IW ₁ | a ₁ | b ₁ | IRS ₁ |
| ინდიკატორი A ₂ | IW ₂ | a ₂ | b ₂ | IRS ₂ |
| ... | ... | ... | ... | ... |
| ინდიკატორი A _n | IW ₃ | a _n | b _n | IRS _n |

სადაც

$$\sum_{j=1}^n IW_j = 100\%.$$

- თითოეული რისკის ინდიკატორისთვის A_j , (IRS_j) განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$IRS_j = \begin{cases} 100 & \text{if } A_j > a_j \\ 0 & \text{if } A_j < b_j \\ \frac{A_j - b_j}{a_j - b_j} \times 100, & \text{if } b_j \leq A_j \leq a_j \end{cases}, \text{ where } j = 1 \dots n$$

ან

$$IRS_j = \begin{cases} 0 & \text{if } A_j > a_j \\ 100 & \text{if } A_j < b_j \\ \frac{a_j - A_j}{a_j - b_j} \times 100, & \text{if } b_j \leq A_j \leq a_j \end{cases}, \text{ where } j = 1 \dots n$$

2.4 აგრეგირებული რისკის ქულა (ARS)

- აგრეგირებული რისკის ქულა (ARS_i) თითოეული 'i' ბანკისათვის გამოითვლება როგორც

$$ARS_i = \sum_{j=1}^n IW_j * IRS_j.$$

2.5 აგრეგირებული რისკის წონა (ARW)

- მცურავი მასშტაბის მეთოდის გამოყენებით (ARSi) გადაითარგმნება აგრეგირებულ რისკის წონაში (ARWi). ამ გარდაქმნისთვის გამოიყენება შემდეგი ექსპონენციალური ფორმულა:

$$ARW_i = \beta + (\alpha - \beta) * (1 - \log_{10}(10 - 9 * (\frac{ARSi}{100})))$$

- ამ ფორმულაში ARWi წარმოადგენს ARSi-ის ექსპონენციალურ ფუნქციას, α და β საზღვრებით რომლებიც შესაბამისად 150% და 75%-ის ტოლია. ბანკისათვის, რომლის ARSi არის 100-ის ტოლი, რისკის წონა იქნება α -ს ტოლი (150%). მსგავსად, ბანკისათვის რომლის ARSi არის 0-ის ტოლი, რისკის წონა იქნება β (75%). როდესაც ARSi მდებარეობს 0-დან 100-ამდე შუალედში, ზემოთ მოცემული ფორმულის საშუალებით გამოითვლება ARWi და მისი მნიშვნელობა იქნება 75%-დან 150%-ამდე შუალედში განსაზღვრული.